



შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ქ. ხაშურში არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე,  
ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით,  
ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

დირექტორი:

ჭიაბერ ჭიაბრიშვილი

2023 წ.

## სარჩევი

1	შესავალი.....	4
2	საქმიანობის აღწერა.....	5
2.1	ზოგადი მიმოხილვა:.....	5
2.2	ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურის აღწერა .....	6
2.3	საშუალო წნევიანი გაზსადენი .....	8
2.4	საკომპრესორო.....	8
2.5	ბუნებრივი აირის საცავები .....	9
2.6	აირის მარიგებელი სვეტწერტილები.....	9
2.7	საცავის ექსპლუატაციის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	10
2.8	ავტომანქანათა გაწყობა-გამართვა ხდება შემდეგნაირად:.....	10
2.9	ბუნებრივი აირის რეზერვუარების გამოყენება ტექნოლოგიურ პროცესში: .....	11
2.10	თხევადი გაზის მიღების, შენახვის და გაცემის სისტემა.....	11
3	ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი და მომსახურე პერსონალი .....	12
4	წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება .....	12
5	ნარჩენები ავტოგასამართი სადგურის მიმდინარე საქმიანობის პროცესში .....	13
6	შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება .....	13
7	არსებულ ავტოგასამართ სადგურზე გაფრქვევის წყაროების დახასიათება .....	13
7.1	ემისიის გაანგარიშება ბუნებრივი აირის მანქანებში ჩატვირთვისას (გ-1, გ-2, გ-3, გ-4)	13
7.2	ემისიის ანგარიში თხევადი აირის უბნიდან (გ-5).....	14
7.3	ემისიის გაანგარიშება გაზის კომპრესორების მუშაობისას (გ-8) .....	14
7.4	ემისიის გაანგარიშება ზეთშემკრებიდან (გ-9).....	14
8	მაგნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგების ანალიზი .....	15
9	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა .....	15
10	საქმიანობის განხორციელების ადგილის დახასიათება და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება .....	17
11	ემისიების სახეები და რაოდენობები დაგეგმილი ნავთობროდუქტების რეზერვუარის და გაცემის წერტილების ფუნქციონირებისას .....	18
11.1	ემისიის ანგარიში ბენზინის უბნიდან (გ-6):.....	18
11.2	ემისიის ანგარიში დიზელის საწვავის უბნიდან (გ-7): .....	18
12	შეფასების კრიტერიუმები.....	18
12.1	საქმიანობის მახასიათებლები:.....	19
12.1.1	საქმიანობის მასშტაბი, არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება: .....	19

12.1.2	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება: .....	19
12.1.3	ნარჩენების წარმოქმნა: .....	19
12.1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური: .....	20
12.1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი: 21	
12.2	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა: .....	21
12.2.1	ქარბტენიან ტერიტორიასთან: .....	21
12.2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან:.....	21
12.2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები:.....	22
12.2.4	დაცულ ტერიტორიებთან: .....	22
12.2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან:.....	22
12.2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან: .....	22
12.3	საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი: .....	23
12.3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი: .....	23
12.3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა: .....	23
13	მოკლე რეზიუმე.....	23
14	დანართები:.....	24
14.1	საწარმოს განახლებული გენ.გეგმა .....	24
14.2	გაბნევის ანგარიშის გრაფიკული ნაწილი .....	25
14.3	სასარგებლო წიაღისულის მოპოვების ლიცენზია.....	32
14.4	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება .....	34
14.5	ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან .....	36

## 1 შესავალი

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართი II, მე-6 პუნქტის, 6.3-ე ქვეპუნქტის შესაბამისად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიშის მომზადებას. წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ქ. ხაშურში არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის შესახებ სკრინინგის განაცხადის დანართს.

ქ. ხაშურის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში (მისამართი: ქ. ხაშური, გორგასლის ქ. №30), მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (საკადასტრო კოდი: 69.08.26.001) განთავსებულია ბუნებრივი აირის საცავი და მოწყობილია ავტოგასამართი სადგური. ავტოგასამართი სადგური ამ ეტაპზე ახდენს მხოლოდ ბუნებრივი და თხევადი აირით ავტომობილების გამართვას.

აღნიშნული ობიექტი სარგებლობის მიზნით, იჯარის ხელშეკრულების და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 14 მარტის №2-194 ბრძანების საფუძველზე გადაცემული აქვს შპს „გაზ ენდ პეტროლი კომპანის“.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია ნავთობპროდუქტების რეზერვუარებისა და საწვავის მარიგებელი სვეტის მოწყობა, რომლის ექსპლუატაციას განახორციელებს შპს „გაზ ენდ პეტროლი კომპანი“. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული და დარეგულირებულია ამ ორ კომპანიას შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით.

ნავთობპროდუქტების რეალიზაციის მიზნებისთვის დაგეგმილია ორი ერთეული მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსება. ერთი რეზერვუარი იქნება გადატიხრული და მასში ჩაიტვირთება ორი სხვადასხვა სახეობის ბენზინი (რეგულარი და პრემიუმი), ხოლო მეორე რეზერვუარში ჩაიტვირთება დიზელი რეზერვუარების მოცულობა წარმოდგენილია ცხრილში N1). ნავთობპროდუქტების გასაცემად ასევე დაგეგმილია 1 (ერთი) ცალი მარიგებელი სვეტის დამონტაჟება, რომელიც აღჭურვილი იქნება 6 შლანგით და ე.წ. პისტოლეტებით.

### **ცხრილი N 1 - საპროექტო ნავთობპროდუქტების რეზერვუარების მოცულობა**

№	რეზერვუარი 1	რეზერვუარი 2
1	25 ტ	38 ტ
		63 ტ

**ინფორმაცია კომპანიის შესახებ:**

კომპანიის სრული სახელწოდება: შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“  
სამართლებრივი ფორმა: შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)  
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქიზიყის ქუჩა, N 40  
ოფისის მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქიზიყის ქუჩა, N 40  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406350602  
ელ-ფოსტა: [info@neogas.ge](mailto:info@neogas.ge)  
კომპანიის დირექტორი: ჭიაბერ ჭიაბრიშვილი  
დირექტორის ტელ: 595331224

**2 საქმიანობის აღწერა**

**2.1 ზოგადი მიმოხილვა:**

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორია ქ. ხაშურის სამეურნეო-სამრეწველო ზონის ფარგლებშია მოქცეული, სადაც განთავსებულია სხვადასხვა პროფილის რამდენიმე მცირე საწარმო. ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს ქალაქის დასახლებული ზონა (უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 120-160 მ მანძილით). სამხრეთის მხრიდან ობიექტს ესაზღვრება ქ. ხაშურის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. მტკვარი სამხრეთის მიმართულებით დაცილებულია 850-860 მ მანძილით.





არსებული მდგომარეობით, ობიექტის საქმიანობის მიზანია, საშუალო წნევის გაზსადენიდან მიღებული ბუნებრივი აირის დაახლოებით 220 კვ/სმ<sup>2</sup> წნევამდე დაჭირხვნა და მისი ჩატვირთვა ბუნებრივ აირზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებებში სპეციალურად მოწყობილ ბალონებში.

დღეღამის განმავლობაში ობიექტი საშუალოდ ემსახურება 500 ავტომანქანას, მათ შორის, ერთი მარიგებელი სვეტი 250 ავტომანქანას.

## 2.2 ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურის აღწერა

საპროექტო ტერიტორიაზე, რომელზედაც უკვე ფუნქციონირებს ავტოგასამართი სადგური მოწყობილია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები:


- ადმინისტრაციული საოფისე-საოპერატორო შენობა;
- საშუალო წნევიანი გაზსადენი;
- საკომპრესორო;

- ბუნებრივი აირის საცავი;
- აირის მარიგებელი სვეტები;
- ორი ჭაბურღილი წყლის მისაღებად;
- წყლის სამარაგო რეზერვუარი (2 ტ. ტევადობის);
- ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმო;
- სახანძრო წყლის რეზერვუარი (20 ტ. ტევადობის) და მასთან დაკავშირებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
- ელ. ენერჯის სატრანსფორმატორო ჯიხური;
- თხევადი აირის მიღება-შენახვის ავზი და შესაბამისი მარიგებელი სვეტი;

ამასთან, ტერიტორიაზე მოწყობილია სველი წერტილი დასაქმებულებისთვის და გარეშე პირებისთვის, ასევე მეხამრიდი, განათება და ზეთშემკრები მიწისქვეშა სისტემა.



არსებული ავტოგასამართი სადგურის გენ-გეგმა



2.3 საშუალო წნევიანი გაზსადენი

სადგურზე ბუნებრივი აირის მიწოდება ხდება ქ. ხაშურის გაზსადენის ქსელის მთავარი მაგისტრალიდან, რომელიც სადგურს უკავშირდება L=600 მ და Ø=100 მმ ლითონის გაზსადენით. წნევის ცვალებადობის გამო (რის გამოც ფერხდება კომპრესორების მუშაობა) გაზსადენის დასაწყისში მოწყობილია წნევის დამგდები დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს საკომპრესორო სადგურისათვის ბუნებრივი აირის ოპტიმალური წნევით (საშუალოდ 5 კგ/სმ²) მიწოდებას. ბუნებრივი აირის მექანიკური გაწმენდის მიზნით გაზსადენის ბოლოში (საკომპრესორო სადგურამდე) მოწყობილია მექანიკური საფილტრი დანადგარი, რომელიც ლითონის მილის მეშვეობით უკავშირდება ზეთშემკრებ მიწისქვეშა რეზერვუარს, სადაც გადადის ბუნებრივი აირიდან მცირე რაოდენობით დალექილი (ნავთობპროდუქტების შემცველი) თხევადი მასა.

2.4 საკომპრესორო

საკომპრესორო განთავსებულია მსუბუქი კონსტრუქციის შენობაში, სადაც დამონტაჟებულია უკრაინული წარმოების (ქ. სუმი) ორი კომპრესორი. კომპრესორებში ზეთის ტევადობა ჯამში შეადგენს 80 ლ-ს. კომპრესორებს გააჩნიათ ბრუნვითი გაგრილების სისტემა, რომელშიც გამოიყენება ძირითადად წყალი, ხოლო ზამთრის თვეებში ემატება ანტიფრიზი (საჭიროების მიხედვით).



ავარიული სიტუაციების შემთხვევაში და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროს, გაზსადენში ბუნებრივი აირის ნაკადის შეწყვეტის მიზნით, ტრასის რამდენიმე ადგილზე გათვალისწინებულია ჩამკეტი არმატურა, ხოლო კომპრესორებში ჭარბი წნევის შექმნისას, მისი განტვირთვა ხდება ტერიტორიაზე მოწყობილი განმქრევი მილიდან. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი აირის დანაკარგის მინიმუმაციისთვის ობიექტზე მოწყობილია სისტემა, რომელიც კომპრესორების გამორთვის შემთხვევაში უზრუნველყოფს გამოთავისუფლებული აირის ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნებას და აირის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის შემცირებას.



## 2.5 ბუნებრივი აირის საცავები

ტერიტორიაზე დამონტაჟებულია დაჭირხნული აირის ერთი კომპლექტი აირბალონები, რომელიც წარმოდგენილია 50 მ<sup>3</sup> მოცულობის 9 ერთეული აირბალონით (საერთო ტევადობით 450 მ<sup>3</sup>) და განთავსებულია საკომპრესოროში. საპასპორტო მონაცემებით ბუნებრივი აირის საცავების საერთო მოცულობა 450 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს 200-220 ატმ. წნევის პირობებში.

## 2.6 აირის მარიგებელი სვეტწერტილები

ბუნებრივი აირით სატრანსპორტო საშუალებების გამართვისათვის პროექტით გათვალისწინებულია 4 მარიგებელი სვეტი, რომელთაგან დღეისათვის 2 გაუქმებულია და ფუნქციონირებს მხოლოდ – 2. მარიგებელ სვეტზე აირის მიწოდება ხდება ბუნებრივი აირის საცავებიდან ლითონის მილსადენით, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვისათვის გამოყენებულია 3,5 მ სიგრძის მაღალი წნევის რეზინის მილი. მილის შიდა დიამეტრია 1/4 დუიმი.



## 2.7 საცავის ექსპლუატაციის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

ავტოგასამართი სადგურის ბუნებრივი აირით კვება ხდება ქ. ხაშურის ტერიტორიაზე გამავალი გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მაგისტრალური გაზსადენიდან, რომელიც სადგურს უკავშირდება 100 მმ-იანი ლითონის მილით.

კომპრესორი მარაგდება 5 კგ/სმ<sup>2</sup> წნევიანი გაზით. კომპრესორში შემოსული გაზის წნევა გაზის რამოდენიმე საფეხურად, მიმდევრობითი დაჭირხვნის შედეგად, იზრდება 200-220 კგ/სმ<sup>2</sup>-მდე. შეკუმშვის ყოველი საფეხურის ბოლოს გაზს თბომცვლელში აერთმევა შეკუმშვისას გამოყოფილი (შინაგანი ენერჯის გაზრდის შედეგად) სითბო და შეკუმშვის ყოველ შემდგომ საფეხურს მიეწოდება გაგრილებული გაზი. შეკუმშვის ბოლო საფეხურზე ბუნებრივი აირის წნევა ხდება 220 კგ/სმ<sup>2</sup> და თბომცვლელში გავლით გრილდება გარემოს ტემპერატურამდე. შემდეგ შეკუმშული ბუნებრივი აირი დროებით შესანახად მიეწოდება მაღალი წნევის რეზერვუარს, საიდანაც მიეწოდება მარიგებელ სვეტს, ავტომანქანების ბალონების შესავსებად.

## 2.8 ავტომანქანათა გაწეობა-გამართვა ხდება შემდეგნაირად:

შეკუმშულ ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომანქანა დგება მარიგებელ სვეტთან. ამ სვეტის ე.წ. „პისტოლეტი“ უერთდება ავტომანქანაზე დამონტაჟებულ აირმიმღები სისტემის სპეციალურ კვანძს, იხსნება ავტომანქანაზე დამონტაჟებული აირმიმღები სისტემის ვენტილი, შემდეგ კი მარიგებელ სვეტზე დამონტაჟებული აირის მიმწოდებელი ვენტილი, რის შემდეგაც იწყება ავტომანქანის ბალონ(ებ)ის შევსება შეკუმშული ბუნებრივი აირით. როგორც კი აირის წნევა ავტომანქანის აირის მიმღებ ბალონებში გახდება 220 კგ/სმ<sup>2</sup>-ის ტოლი, იკეტება მარიგებელ სვეტზე არსებული მიმწოდი ვენტილი, შემდეგ კი ავტომანქანის აირმიმღების სისტემის ვენტილი. ამის შემდეგ ხდება სისტემაში არსებული შეკუმშული ბუნებრივი აირის დაბრუნება აირდამჭერ საცავში, ხოლო „პისტოლეტის“ ავტომანქანის აირმიმღები სისტემის სპეციალური კვანძიდან მოხსნის შემდეგ, დარჩენილი დაბალი წნევიანი აირის განქრევა ხდება ატმოსფეროში.

## 2.9 ბუნებრივი აირის რეზერვუარების გამოყენება ტექნოლოგიურ პროცესში:

სადგურის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის საჭიროა შეკუმშული ბუნებრივი აირის (200-220კგ/სმ<sup>2</sup>) უწყვეტად მიწოდება ავტოგასამართის მარიგებელ სვეტებზე, რაც შესაბამისად გულისხმობს საკომპრესორო სადგურის სისტემატიურ მუშაობას. საკომპრესორო სადგურის უწყვეტი მუშაობა მკვეთრად ზრდის ავარიული სიტუაციების რისკს, კომპრესორების მნიშვნელოვანი დატვირთვის გამო. ამის თავიდან ასაცილებლად ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობას იღებს ბუნებრივი აირის საცავი, სადაც იქმნება გაზის გარკვეული მარაგი სისტემის უსაფრთხო და უწყვეტი ფუნქციონირებისათვის.

საკომპრესორო სადგურში ბოლო საფეხურზე დაჭირხნული გაზი მიეწოდება საცავს და იწყება მისი შევსება. როცა საცავში გაზის წნევა უტოლდება კომპრესორში არსებული გაზის წნევას, ავტომატურად იკეტება საცავზე მოწყობილი ვენტილი, ხოლო საკომპრესორო სადგური წყვეტს მუშაობას ვიდრე საცავში გაზის წნევა მინიმალურ ზღვრამდე არ დაეცემა. საკომპრესორო სადგურის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ კომპრესორსა და საცავს შორის რჩება დაჭირხნული გაზი, რომლის განტვირთვა აუცილებელია კომპრესორების ხელახლა ჩართვამდე. სისტემის განტვირთვისას გამოდევნილი გაზი გროვდება 1,5 მ<sup>3</sup> მოცულობის ლითონის რეზერვუარში, რათა მისი გაფრქვევა არ მოხდეს ატმოსფეროში. სისტემის განტვირთვისას რეზერვუარში დაგროვილი გაზი მონაწილეობას იღებს ტექნოლოგიურ ციკლში კომპრესორების ხელახალი ჩართვისას. ავტოგასამართი სადგურის ტექნოლოგიური პროცესის ერთი ციკლი, სადგურის სრული დატვირთვით მუშაობისას 24 სთ-ის განმავლობაში, მეორდება რამდენიმე ათეულჯერ (გაზის რეალიზაციის პროპორციულად).

ამგვარად, ბუნებრივი აირის მიღების, შენახვის და გაცემის სისტემა, ასევე ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობა (ბუნებრივი საწვავი აირის დაჭირხვნა და გაცივება გარემოს ტემპერატურამდე; ბუნებრივი აირის საცავისა და გაფრქვეული გაზის დამჭერი რეზერვუარის მონაწილეობა ტექნოლოგიურ პროცესში) პრაქტიკულად გამორიცხავს სადგურის ნორმალური რეჟიმით მუშაობისას ავარიულ სიტუაციებს და ბუნებრივი აირის გაჟონვას ობიექტის რომელიმე დანადგარიდან ან უბნიდან.

## 2.10 თხევადი გაზის მიღების, შენახვის და გაცემის სისტემა

თხევადი გაზის მზიდი ავტომანქანიდან ხდება თხევადი გაზის ჩატუმბვა ავტოგასამართი სისტემის 10 კუბ.მ. მოცულობის სათავსში.

თხევად გაზზე მომუშავე ავტომანქანა გაწყობა-გამართვისათვის დგება მარიგებელ სვეტთან: სვეტის სამარჯვი უერთდება ავტომანქანაზე დამონტაჟებულ მიმღები სისტემის სპეციალურ კვანძს, იხსნება ავტომანქანაზე დამონტაჟებული მიმღები სისტემის ვინტილი, რის შემდეგაც იწყება ავტომანქანის ბალონის შევსება თხევადი საწვავი გაზით. როგორც კი წნევა ბალონში მიაღწევს განსაზღვრულ ზღვარს, იკეტება მარიგებელი სვეტის ჩამკეტი არმატურა, შემდგომ კი ავტომანქანის საბარგულში მდებარე ჩამკეტი, ამის შემდგომ ხდება სამარჯვში არსებული წნევის განქრევა ატმოსფეროში.

### 3 ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი და მომსახურე პერსონალი

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაო ხორციელდება თითქმის უწყვეტად, მთელი წლის განმავლობაში 24-საათიანი რეჟიმით (7 დღიანი სამუშაო კვირა, წელიწადში 365 დღე). სადგურის მუშაობის შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის მოწოდების დროებით შეწყვეტამ, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებმა და სხვა.

მომსახურე პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 8 კაცს. მათ შორის, 6 თანამშრომელია ტექნიკური პერსონალი, რომლებიც მუშაობენ 3 ცვლაში, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით (თითო ცვლაში 2 ადამიანი - ოპერატორი და მექანიკოსი). სადგურის ხელმძღვანელს და სამეურნეო პერსონალს აქვს 8 საათიანი სამუშაო დღე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღის განმავლობაში ობიექტზე იმუშავენ 3 ადამიანი.

### 4 წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება

ობიექტის წყალმომარაგება ხორციელდება ტერიტორიაზე გაყვანილი ორი ჭაბურღილის საშუალებით, რაზეც კომპანიას ადებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია (იხ. დანართი) ჭაბურღილები ემსახურება ტერიტორიაზე არსებულ სახანძრო რეზერვუარის შევსებას და კომპრესორების გამაგრილებელ და სამეურნეო წყალმომარაგების სისტემებს. ვინაიდან, არსებული ჭაბურღილების წყალი მაღალი მინერალიზაციით ხასიათდება, სასმელად მისი გამოყენება შეუძლებელია. მომსახურე პერსონალის მცირერიცხოვნების გათვალისწინებით სასმელი წყლის შემოტანა ხდება ბუტილირებული სახით.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება ხდება საასენიზაციო ჰერმეტიკულ ორმოში, რომლის ტევადობა შეადგენს 12 მ<sup>3</sup>-ს. ორმოს დაცლა ხდება წელიწადში საშუალოდ ორჯერ, შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ობიექტის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით (ბრუნვითი გაგრილების სისტემა) მიმდინარე საქმიანობის პროცესში საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს.

ობიექტს არ გააჩნია ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების არინების სისტემა. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უჭირავს შენობა-ნაგებობებს, ხოლო დანარჩენი ტერიტორია დაფარულია გრუნტით. შესაბამისად ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დიდი რაოდენობით წარმოქმნას ადგილი არ ექნება. ტერიტორიაზე არსებული ყველა სახის ტექნიკური დანადგარი განთავსებულია შენობაში.

## 5 ნარჩენები ავტოგასამართი სადგურის მიმდინარე საქმიანობის პროცესში

ავტოგასამართი სადგურის მიმდინარე საქმიანობის პროცესში ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ზეთის ნარჩენების წარმოქმნას.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებითი განთავსება ხდება ტერიტორიაზე არსებულ კონტეინერებში, რომლის გატანა ხდება ქ. ხაშურის დასუფთავების მუნიციპალურ სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენების მართვას, შემუშავებულია და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებულია ნარჩენების მართვის გეგმა. სახიფათო ნარჩენების გატანას და გაუვნებლობას ახორციელებს შპს „სანიტარი“ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

## 6 შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება

ობიექტზე უზრუნველყოფილია შრომის სანიტარიულ-ჰიგიენური და უსაფრთხო პირობები, რომლებიც დამუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის (სტანდარტები, სამშენებლო ნორმები და წესები, სანიტარიული წესები და ნორმები, ინსტრუქციები და სამრეწველო საწარმოების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის წესები) შესაბამისად.

კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, პროექტის ტექნოლოგიურ ნაწილში განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები:

- საცავის ტექნოლოგიური პროცესების მართვა ავტომატიზებულია;
- ტერიტორიაზე მოწყობილია ვიდეომეთვალყურეობის სისტემები;
- ტერიტორიაზე მოწყობილია 20 მ<sup>3</sup> ტევადობის სახანძრო რეზერვუარი;
- სახანძრო რეზერვუართან მიერთებულია ხანძარქრობის ორი ჰიდრანტი;
- განთავსებულია სახანძრო სტენდი;
- მოწყობილია მეხამრიდები;
- მოწყობილობები განლაგებულია თავისუფალი გასასვლელების და საჭირო სარემონტო ადგილების გათვალისწინებით;
- საცავის მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფილია სპეციალური ტანსაცმლით;
- მომსახურე პერსონალს სამუშაოზე მიღებისას და შემდგომ პერიოდულად უტარდება სწავლება შრომის უსაფრთხოების და საწარმოო ჰიგიენის საკითხებზე.

## 7 არსებულ ავტოგასამართ სადგურზე გაფრქვევის წყაროების დახასიათება

### 7.1 ემისიის გაანგარიშება ბუნებრივი აირის მანქანებში ჩატვირთვისას (გ-1, გ-2, გ-3, გ-4)

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებაა მეთანი, რომელიც წარმოადგენს აქ გამოყენებული ბუნებრივი საწვავი აირის შემადგენლობის 90 %-ზე მეტს.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის უმთავრესი წყაროა განქრევის მილი, რომლიდანაც ხდება ავტოგასამართი საკომპრესორო სადგურის მარიგებელი სვეტის “პისტოლეტი”-ს განქრევა.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები ბუნებრივი გაზის ერთი (გ -1) დისპენსერიდან მოცემულია ცხრილში

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
410	მეთანი	18.104	3,304
1728	ეთილმერკაპტანი	0.0004	0,000073

დანარჩენი ბუნებრივი დისპენსერები (გ-2, გ-3, გ-4) იდენტურია (გ -1)-ის.

## 7.2 ემისიის ანგარიში თხევადი აირის უბნიდან (გ-5)

განგარიშება განხორციელდა ძირითად დამაბინძურებელი ნივთიერებების მიხედვით, რომლებიც მოცემულია თხევადი აირის სტანდარტში [7]: გოგირდწყალბადი, ნაჯერი ნახშირწყალბადები C1-C5 (მეთანის მიხედვით), უჯერი ნახშირწყალბადები (ამილენების მიხედვით), ოდორანტი-მერკაპტანები (ეთილმერკაპტანის მიხედვით).

ცხრილი 5.1. ნახშირწყალბადოვანი დაჭირხნული აირების შედგენილობა ავტოტრანსპორტისთვის [7]-ის მიხედვით

№	კომპონენტი	ნორმა, %
1	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C1- C5	85
2	ამილენები (უჯერი ნახშირწყალბადები), C <sub>5</sub> H <sub>10</sub>	6
3	გოგირდი და გოგირდოვანი ნაერთები, არა უმეტეს:	0,01
4	გოგირდწყალბადი, H <sub>2</sub> S	0,003

## 7.3 ემისიის გაანგარიშება გაზის კომპრესორების მუშაობისას (გ-8)

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში:

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	0,05 გ/წმ	1,58 ტ/წელ

## 7.4 ემისიის გაანგარიშება ზეთშემკრებიდან (გ-9)

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება შესრულებულია მეთოდიკების [8, 9] შესაბამისად. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში:

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	2,6·10 <sup>-9</sup>	0,0000219

## 8 მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიშის მიღებული შედეგების ანალიზი

შემაჯამებელ ცხრილში მოცემულია საკონტროლო წერტილებიდან დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები ზღვ-წილებში.

მავნე ნივთიერებათა დასახელება	მავნე ნივთიერებათა ზღვ-ის წილი ობიექტიდან				
	უახლოეს დასახლებასთან	500 მ რადიუსის საზღვარზე	500 მ რადიუსის საზღვარზე	500 მ რადიუსის საზღვარზე	500 მ რადიუსის საზღვარზე
	(-140; -130)	(0; -500)	(500; 0)	(-500; 0)	(0; 500)
1	2	3	4	5	6
მეთანი	2,54E-03	7,81E-04	6,20E-04	5,22E-04	4,33E-04
ეთილმერკაპტანი	0,2	0,07	0,06	0,05	0,05
გოგირდწყალბადი	1,81E-03	5,77E-04	4,84E-04	4,10E-04	3,70E-04
ნაჯერი ნახშირწყალბადები C1-C5	0,05	0,01	0,01	9,91E-03	8,63E-03
ნაჯერი ნახშირწყალბადები C6- C10	0,02	5,06E-03	4,13E-03	3,51E-03	3,03E-03
ამილენები	0,06	0,02	0,01	0,01	0,01
ბენზოლი	0,26	0,08	0,06	0,05	0,05
ქსილოლები	0,05	0,01	0,01	0,01	8,78E-03
ტოლუოლი	0,12	0,04	0,03	0,03	0,02
ეთილბენზოლი	0,1	0,03	0,02	0,02	0,02
ზეთი ინდუსტრიული	0,9	0,3	0,22	0,18	0,15
ნაჯერი ნახშირწყალბადები C12- C19	4,22E-03	1,24E-03	1,02E-03	8,82E-04	7,67E-04

## 9 დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

არსებული ინფრასტრუქტურის შეუცვლელად, იმავე ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

1. 2 ერთეული მიწისქვეშა რეზერვუარის მოწყობა, ნავთობპროდუქტების მისაღებად,;
2. 1 ერთეული ნავთობპროდუქტების მარიგებელი სვეტის განთავსება.

საწვავის რეზერვუარების და დამხმარე მოწყობილობების განთავსება მოხდება საწარმოს თავისუფალ ტერიტორიაზე და შეხება არ ექნება ბუნებრივი არის შენახვა-გაცემის სისტემასთან. საწვავის რეზერვუარების განთავსება მოხდება მიწისქვეშ და მისი სიცარიელები ამოივსება ქვიშა-ღორღის წვრილი ფრაქციით. რეზერვუარები დაფარული იქნება ანტიკოროზიული

ნივთიერებებით. საწვავის მიღების და შენახვის ხაზები, ასევე სასუნთქი სარქველები განთავსდება რეზერვუარების მიმდებარედ, დაცულ ტერიტორიაზე.

საწვავის მარიგებელი სვეტი განთავსდება არსებული ბუნებრივი აირის მარიგებელი სვეტების პარალელურად, რომელიც მიწისქვეშა მილგაყვანილობის (გაცემის, შევსების და სხვა ხაზები) საშუალებით დაუკავშირდება საწვავის რეზერვუარებს. საწვავის რეზერვუარები იქნება ქარხნული წარმოების და შერჩეული იქნება ისეთი ტიპის, რომელიც გამოიყენება სპეციალურად საწვავის შესანახად. ნავთობპროდუქტების შესანახად გამოიყენება ორკედლიანი რეზერვუარები.

მარიგებელი სვეტების დასაყენებლად განკუთვნილი მარიგებელი ნაკვეთურები და რეზერვუარების ყელის გარშემო მოედნები ამაღლებული იქნება მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.

საპროექტო მიწისქვეშა რეზერვუარების განთავსება იგეგმება შემდეგ კოორდინატებზე:

x	y
383474	4648326,6
383477,9	4648326,3
383477	4648314,9
383473,2	4648315,2

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შემოტანა განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით.

რეზერვუარები განკუთვნილი იქნება სხვადასხვა საწვავისთვის: ერთი დამოუკიდებლად განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისთვის, ხოლო მეორე რეზერვუარი იქნება გატიხრული და გამოიყენება რეგულარი და პრემიუმი სახეობის ბენზინისთვის. მოსაწყობი რეზერვუარების ჯამური მოცულობაა 63 ტ:

- დიზელის რეზერვუარი მოცულობით 25 ტ;
- ბენზინის რეზერვუარი მოცულობით 38 ტ.

**ობიექტი დღე დამეში საშუალოდ მოემსახურება 500 ავტომობილს და სავარაუდოდ დღე-ღამის განმავლობაში გაცემული იქნება დაახლოებით 10 ტონა ბენზინის და 8 ტონა დიზელის საწვავი.**

რაც შეეხება, უშუალოდ რეზერვუარების და მასთან დამაკავშირებელი მილსადენის მოწყობის სამუშაოებს, იგი დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული არ არის. სპეციალური სანგრევი აპარატურის საშუალებით მოხდება საფარის მოჭრა, შესაბამისი ზომის ღრმულების მოწყობა, მზა რეზერვუარების ჩაწყობა, შესაბამისი მილსადენების დაერთება მარიგებელ სვეტთან და ბოლოს ზედაპირის მოპირკეთება.



რეზერვუარებიდან მარიგებელ სვეტს საწვავი მიეწოდება სპეციალური ტუმბოს მეშვეობით. მარიგებელი სვეტი მოწყობილი იქნება არსებული გადახურვის ქვეშ, ბუნებრივი აირის მარიგებელი სვეტების პარალელურად.

სხვა დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა ობიექტზე არ იგეგმება და გამოყენებული იქნება ობიექტზე უკვე არსებული ინფრასტრუქტურა.

## 10 საქმიანობის განხორციელების ადგილის დახასიათება და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, ნავთობპროდუქტების საცავის დამონტაჟება მოხდება ქ. ხაშურში არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, ვინაიდან საცავების განთავსება დაგეგმილია მცირე ფართობის ტერიტორიაზე სამონტაჟო და მიწის სამუშაოები არ იქნება მოცულობითი.

დანადგარის დამონტაჟებისთვის საჭირო ბეტონის ნარევის შემოტანა დაგეგმილია სხვა იურიდიული პირების საწარმოებიდან, რაც თავის მხრივ შეამცირებს გარემოზე ზემოქმედებას.

სამონტაჟო სამუშაოები ჩატარდება მაღალი ტექნოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიებზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მცენარეული საფარი ან ცხოველთა სახეობები წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე არ ფიქსირდება საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურება. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამუშაოები შესრულდება ხელოვნურად შექმნილი ინფრასტრუქტურის ფარგლებში და მისი მოცულობა არ იქნება მასშტაბური/მნიშვნელოვანი, გეოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.

სამონტაჟო სამუშაოების დროს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების რისკები დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოები პროცესში ტექნიკის მუშაობასთან და მიწის სამუშაოების შესრულებასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო იქნება დაახლოებით 10-14 დღე, ზემოქმედება იქნება მოკლე ვადიანი, მცირე მოცულობის და შესაბამისად უმნიშვნელო. რაც შეეხება მისი ექსპლუატაციის პროცესს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება განხილული იქნება ქვემოთ.

დაგეგმილი სამუშაოების შესრულების პროცესში წარმოქმნილი გრუნტი გამოყენებული იქნება ამოვსებითი ღონისძიებებისთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სამუშაოების შესრულების პროცესში, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება ძალიან დაბალია.

**11 ემისიების სახეები და რაოდენობები დაგეგმილი ნავთობროდუქტების რეზერვუარის და გაცემის წერტილების ფუნქციონირებისას**

**11.1 ემისიის ანგარიში ბენზინის უბნიდან (გ-6):**

წლის განმავლობაში ობიექტზე ხორციელდება დაახლოებით 10 ტ\*365=3650 ტ=3650/0,73=5000 მ<sup>3</sup> (5 000 000 ლ) ბენზინის რეალიზაცია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღის განმავლობაში მანქანების შევსებას მოხმარდება მაქსიმუმ 200 წუთი, [6]-ის დანართი 98-ის მიხედვით, გვექნება:

$$G=1,4*5\ 000\ 000/10^6=7\ \text{ტ/წელ}$$

$$M=7*10^6/(365*200*60)=1,598\ \text{გ/წმ}$$

ბენზინის კომპონენტური შედგენილობის გათვალისწინებით, ბენზინის უბნიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო წლიური მნიშვნელობები იქნება:

№	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	მასური წილი, %	M, გ/წმ	G, ტ/წ
1	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C1-C5	0415	67,67	1,081367	4,7369
2	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C6-C10	0416	25,01	0,39966	1,7507
3	ამილენები, C <sub>5</sub> H <sub>10</sub>	0501	2,5	0,03995	0,175
4	ბენზოლი, C <sub>6</sub> H <sub>6</sub>	0602	2,3	0,036754	0,161
5	ქსილოლი, C <sub>8</sub> H <sub>10</sub>	0616	0,29	0,004634	0,0203
6	ტოლუოლი, C <sub>7</sub> H <sub>8</sub>	0621	2,17	0,034677	0,1519
7	ეთილბენზოლი, C <sub>8</sub> H <sub>10</sub>	0627	0,06	0,000959	0,0042

**11.2 ემისიის ანგარიში დიზელის საწვავის უბნიდან (გ-7):**

წლის განმავლობაში ობიექტზე ხორციელდება დაახლოებით 8 ტ\*365 = 2920 ტ=2920/0,8=3650 მ<sup>3</sup> (3 650 000 ლ) დიზელის საწვავის რეალიზაცია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღის განმავლობაში მანქანების შევსებას მოხმარდება მაქსიმუმ 200 წუთი, [6]-ის დანართი 98-ის მიხედვით, გვექნება:

$$G=0,0025*3\ 650\ 000/10^6=0,009\ \text{ტ/წელ}$$

$$M=0,009*10^6/(365*200*60)=0,002\ \text{გ/წმ}$$

№	ნივთიერების დასახელება	კოდი	მასური წილი, %	M, გ/წმ	G, ტ/წ
1	გოგირდწყალბადი, H <sub>2</sub> S	0333	0,28	0,0000056	0,0000252
2	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C12-C19	2754	99,72	0,0019944	0,0089748

**12 შეფასების კრიტერიუმები**

მოცემული დოკუმენტი შესრულებულია, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

## 12.1 საქმიანობის მახასიათებლები:

### 12.1.1 საქმიანობის მასშტაბი, არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმოა.

მოცემულ შემთხვევაში, კუმულაციური ზემოქმედების რისკი დაკავშირებულია 2 ერთეული რეზერვუარისა და ერთი ცალი ნავთობპროდუქტების მარიგებელი სვეტის სამონტაჟო სამუშაოების შესრულებასთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხმაური და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, იმას რომ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა იქნება ძალიან მცირე და დროში შეზღუდული, ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ობიექტსა და საცხოვრებელ სახლს შორის არსებობს ბუნებრივი ეკრანები (მცენარეული საფარი), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხმაურის გავრცელების შესაძლებლობას სენსიტიური ობიექტების მიმართულებით.

ამდენად, ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხმაური და ასევე გაფქრვეული მავნე ნივთიერებები უმნიშვნელო ხასიათისაა და კანონით დადგენილი ნორმების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

### 12.1.2 ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ არის ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან. წყლის გამოყენება საჭირო იქნება მხოლოდ ბეტონის ნარევის დასამზადებლად, რომლის შემოტანაც მოხდება სხვა იურიდიული პირების საწარმოებიდან, ხელშეკრულების საფუძველზე.

### 12.1.3 ნარჩენების წარმოქმნა:

სამშენებლო სამუშაოების მცირე მოცულობების გათვალისწინებით, მშენებლობის ფაზაზე ნარჩენების დიდი რაოდენობით წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე ამჟამადაც და ცვლილების განხორციელების შემდეგაც მოსალოდნელია ისეთი საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, როგორცაა პერსონალის კვებითი ნარჩენები. აღნიშნული ნარჩენებისთვის ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია

შესაბამისი ურნები. ნარჩენების გატანა ხდება შესაბამისი სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

არსებულ ავტოგასამართ სადგურზე, ახალი საწვავის რეზერვუარების, დამაკავშირებელი მილსადენის და მარიგებელი სვეტის დამატების პროცესში მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. კერძოდ კი, რეზერვუარების და მილსადენების ღრმულების მოწყობის პროცესში მოსალოდნელია ინეტრული ნარჩენის წარმოქმნა, რომლის მართვაც მოხდება ნარჩენების მართვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ დაგეგმილი ცვლილება არ არის დაკავშირებული მასშტაბურ სამუშაოებთან, ობიექტის ტერიტორიაზე ნარჩენების უკანონო გაფანტვას ან/და დასაწყობებას ადგილი არ ექნება.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, სამონტაჟო სამუშაოების პროცესში მოსალოდნელი არ არის, ხოლო ობიექტის ფუნქციონირების პროცესში, წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები იდენტური იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებულ „ნარჩენების მართვის გეგმაში“ მითითებული ნარჩენებისა და ამას დაემატება ნავთობპროდუქტების ნარჩენები ნავთობშემკრები ავზიდან. ასეთი სახის სახიფათო ნარჩენებისთვის ობიექტზე მოწყობილია ნარჩენების დროებითი შენახვის სათავსო შესაბამისი მარკირებით, რომელიც აღჭურვილია ასევე მარკირებული ურნებით. დაგროვილი ნარჩენების გატანა მოხდება შპს „სანიტარის“ მიერ.



#### 12.1.4 გარემოს დაბინძურება და ხმაური:

სამონტაჟო სამუშაოების ფაზაზე შესაძლოა განვიხილოთ გარემოს დაბინძურების დაბალი რისკი. კერძოდ, მიწის სამუშაოების შესრულებასთან და ტექნიკის მუშაობასთან დაკავშირებით ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრის, წვის პროდუქტების და ხმაურის გავრცელებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები იქნება მცირე მოცულობის და დროში შეზღუდული, ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს დაბინძურების რისკს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს რამოდენიმე ათეული წელია. ტერიტორიის ფარგლებში მობინადრე ცხოველთა/ფრინველთა სახეობები მის არსებობასთან შეგუებულნი არიან. შესაბამისად, მისი გავლენის ზონაში მობინადრე ფაუნის სახეობებზე ნეგატიური ზემოქმედება ფაქტიურად არ არსებობს. ზედაპირული წყლების, ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება და სხვა ფაქტიურად გამორიცხულია. გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, როგორცაა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება, უმნიშვნელოდ არის მოსალოდნელი.

განგარიშების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ ავტოგასამართის ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც 500 მ-ნი ნორმირებული ზონის მიმართ, აგრეთვე უახლოესი დასახლებული ზონის მიმართ, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, ამდენად, ავტოგასამართის ფუნქციონირება საშტატო რეჟიმში, არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

#### **12.1.5 საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი:**

საქმიანობის განხორციელების დროს მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი არ არსებობს, თუმცა კომპანიის მხრიდან დამატებითი უსაფრთხოების თვალსაზრისით, სამონტაჟო სამუშაოების ეტაპზე დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- დასაქმებული პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და სპეც. ტანსაცმლით;
- შესაბამის ცოდნის მქონე პერსონალის დაშვება სამუშაოზე;
- შერჩეულ ადგილებზე პროფესიული უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;
- სამუშაო ადგილებზე პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტების და საშუალებების განთავსება;
- სატრანსპორტო საშუალებებისა და საჭირო ინვენტარის გადაადგილების შეზღუდვა.

### **12.2 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:**

#### **12.2.1 ჭარბტენიან ტერიტორიასთან:**

ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ჭარბტენიან ტერიტორიებზე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.

#### **12.2.2 შავი ზღვის სანაპირო ზოლთან:**

ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.

### 12.2.3 ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები:

როგორც უკვე აღინიშნა, საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორია ქ. ხაშურის სამეურნეო-სამრეწველო ზონის ფარგლებშია მოქცეული, სადაც განთავსებულია სხვადასხვა პროფილის რამდენიმე მცირე საწარმო. ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს ქალაქის დასახლებული ზონა (უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 120 მ მანძილით). სამხრეთის მხრიდან ობიექტს ესაზღვრება ქ. ხაშურის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. მტკვარი სამხრეთის მიმართულებით დაცილებულია 850-860 მ მანძილით.

ამასთან, სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია მაღალი ტექნოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიებზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მცენარეული საფარი ან ცხოველთა სახეობები წარმოდგენილი არ არის (მათ შორის, წითელი ნუსხის სახეობები).

ამდენად, ტყის გარემოზე და წითელი ნუსხის სახეობებზე ზემოქმედება ფაქტიურად არ არსებობს.

### 12.2.4 დაცულ ტერიტორიებთან:

თუ გავითვალისწინებთ საქმიანობისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მდებარეობას და იმ ფაქტს, რომ უახლოესი დაცული ტერიტორია (ბორჯომ- ხარაგაულის დაცული ტერიტორიები) საკმაო მანძილითაა დაშორებული, შესაძლოა ითქვას, რომ დაცულ ტერიტორიაზე მის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

### 12.2.5 მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან:

იმის გათვალისწინებით, რომ საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიაზე დაგეგმილია მცირე მოცულობის სამუშაოები, რომლის შესრულებაც იგეგმება შეზღუდულ დროში, ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

### 12.2.6 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან:

აღსანიშნავია, რომ ობიექტის განთავსების არეალში და მის უშუალო სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. დაგეგმილი სამუშაოები შესრულდება არსებულ ავტოგასამართ სადგურზე და შესაბამისად დიდი მოცულობის მიწის სამუშაოების შესრულებას ანდა ახალი ტერიტორიების გამოყენებას ადგილი არ ექნება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნავთობსაცავის მოწყობის სამუშაოების ჩატარება და ექსპლუატაციის პროცესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის.

### 12.3 საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:

#### 12.3.1 ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი:

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და განხორციელების ტერიტორიის ადგილმდებარეობის მიხედვით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### 12.3.2 ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა:

დაგეგმილი სამუშაოები გარემოზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ არის.


## 13 მოკლე რეზიუმე

როგორც წინამდებარე დოკუმენტშია მოცემული, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია კომპანიის კუთვნილი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, რაზეც საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2022 წლის 14 მარტის №2-194 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, საქმიანობა გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებული არ იქნება. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობის შემდეგ, საჭირო იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დადგენილი წესით შეთანხმება.

14 დანართები:

14.1 საწარმოს განახლებული გენ.გეგმა





14.2 გაბნევის ანგარიშის გრაფიკული ნაწილი

0333 გოგირდწყალბადი



0410 მეთანი



0415 ნაჯერი ნახშირწყალბადები C1-C5




0416 ნაჯერი ნახშირწყალბადები C6-C10



0501 აბილენბი




### 0602 ბენზოლი




### 0616 ქსილოლები






1728 ეთილმერკაპტანი



### 2735 ზეთი ინდუსტრიული



### 2754 საჯერო სახშირწყალბადები C12-C19



14.3 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
წიაღის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10001050

201 9 წლის „ 24 “ ოქტომბერი „  
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „ნეოგაზი“-ზე, ს/ნ 405 037 213;  
(№1003113 ლიცენზიის ღებლიკატი)

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი:  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 19 ნოემბრის №1873/ს და  
2014 წლის 10 დეკემბრის №326/ს ბრძანებები.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: \_\_\_\_\_

ქ. ხაშურის ტერიტორიაზე, გორგასლის ქ. №30-30 (ორი ჭაბურღილი)  
მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამინერალუო ლანიშნულაბით);  
K-38-76-A-a ნომენკლატურის ტოპოგრაფიული რუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);  
მიწისა და სამთო მინერალური რესურსების რაოდენობა - 0,07 კმ.



მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: \_\_\_\_\_

მიწისქვეშა მტანარი წყლის (სამეწარმეო ღანიუნულებით) მოპოვება -  
წელიწადში 3 600 კუბური მეტრი;

სალიცენზიო პირობები: \_\_\_\_\_

ბანსაგვრულია სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 10  
დეკემბრის №326/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 25 წელი, 10.12.2014 დან 11.12.2039 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს  
უფლებამოსილი წარმომადგენელი



გავეცანი ლიცენზიის პირობებს და  
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ  
შესრულებაზე.

(ხელმოწერა)

ბ.ა

დაჭევეთი: სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო  
დამამზადებელი: შპს „კაბალონი +“  
სფს-ს რეგისტრაციის № 24-5288

#### 14.4 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-194

14/03/2022

ქ. თბილისი

**ქ. ხაშურიში შპს „ნეოგაზის“ ბუნებრივი აირის საცავების ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანიზე“ გადაცემის შესახებ**

2022 წლის 17 თებერვალს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ნეოგაზის“ დირექტორმა და შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანიის“ მინდობილმა პირმა. შპს „ნეოგაზმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანიზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ ბუნებრივი აირის საცავების ექსპლუატაციაზე (ქ. ხაშური, გორგასლის ქ. №30) გაიცა №73 (12.10.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციაზე“ გაცემული ნებართვა გადაეცა შპს „სი-ენ-ჯის“. 2015 წელს კომპანიის სახელწოდების ცვლილების გამო ზემოაღნიშნული ნებართვა გაიცა შპს „ნეოგაზზე“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2020 წლის 31 დეკემბერს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1273 ბრძანება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შპს „ნეოგაზის“ ბუნებრივი აირის საცავების ექსპლუატაციაზე გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ზ :

1. ქ. ხაშურში შპს „ნეოგაზის“ ბუნებრივი აირის საცავების ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №2-1273 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“;
2. შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №2-1273 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“ და შპს „ნეოგაზს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“ და შპს „ნეოგაზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია



მინისტრი

14.5 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22142293, 10/11/2022 11:30:04

**სუბიექტი**

საფირმო სახელწოდება:	შპს ნეოგაზი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405037213
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	01/04/2014
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, გაბაფხულის ქ., N18

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**მმართველობის ორგანო**

- საერთო კრება
- დირექტორი

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

- დირექტორი - ნუგზარ ნათობაიძე, 22001007356 ,ერთპიროვნული

**კაპიტალი**

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული

### პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია, 230866783	100	100%	

### ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

### ყადალა/აკრძალვა

- აკრძალვა: **102020377071 07/10/2020 16:38:14**  
**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**  
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, საფირმო სახელწოდება: შპს აჭარა ავტოგაზი საიდენტიფიკაციო კოდი: **247001462** სამართლებრივი ფორმა:  
**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აკრძალოს შპს ' აჭარა ავტოგაზის'(ს/ნ 247001462) 60% წილის გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა.**  
საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
- აკრძალვა: **102020377076 07/10/2020 16:41:53**  
**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**  
საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი სამტრედია , ქუჩა სანავარდო, **34.08.64.014,** აკრძალოს გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.  
საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
- აკრძალვა: **102020377077 07/10/2020 16:45:31**  
**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**  
საგანი: უძრავი ნივთი: რაიონი წყალტუბო, სოფელი ქვიტირი, **29.12.01.016,** აკრძალოს გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.  
საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
- აკრძალვა: **102020377078 07/10/2020 16:47:50**  
**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**

- საგანი: უძრავი ნივთი: გარდაბანი , სოფელი მარტყოფი, **81.10.27.445**,  
 ავტორიზაციის უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;  
 საფუძველი: განჩინება, **N2/19328-20 (330210120003946935)**, **21.09.2020**,  
 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
- ავტორიზაცია: **102020377082 07/10/2020 16:49:53**  
 შპს ნეოგაზი ს/ნ **405037213**  
 საგანი: უძრავი ნივთი: მისამართი: რაიონი გურჯაანი , სოფელი მუკუზბანი,  
**51.06.54.038**, ავტორიზაციის უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.  
 საფუძველი: განჩინება, **N2/19328-20 (330210120003946935)**, **21.09.2020**,  
 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
  - ავტორიზაცია: **102020377083 07/10/2020 16:51:53**  
 შპს ნეოგაზი ს/ნ **405037213**  
 საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩაზე ვარკეთილის- 3-ის  
 საცხოვრებელი რაიონის III მ/რ-ის მოპირდაპირედ, **01.19.36.014.008**,  
 ავტორიზაციის უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა  
 საფუძველი: განჩინება, **N2/19328-20(330210120003946935)**, **21.09.2020**,  
 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
  - ავტორიზაცია: **102020377086 07/10/2020 16:56:20**  
 შპს ნეოგაზი ს/ნ **405037213**  
 საგანი: უძრავი ნივთი: თელავი, გმატკეცილი თბილისის, **53.20.34.040**,  
 ავტორიზაციის უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.  
 საფუძველი: განჩინება, **N2/19328-20** საქმე **330210120003946935**, **21.09.2020**,  
 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
  - ავტორიზაცია: **102020377090 07/10/2020 16:58:49**  
 შპს ნეოგაზი ს/ნ **405037213**  
 საგანი: უძრავი ნივთი: თელავი, სოფელი ვარდისუბანი, **53.08.37.017**,  
 ავტორიზაციის უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა  
 საფუძველი: განჩინება, **N2/19328-20 (330210120003946935)**, **21.09.2020**,  
 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
  - ავტორიზაცია: **102020377091 07/10/2020 17:01:05**  
 შპს ნეოგაზი ს/ნ **405037213**



საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ვახეთის გზატკეცილზე მშენებარე  
თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ, 01.19.16.003.005,  
აევრძალოს უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377093 07/10/2020 17:03:07

შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213

საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი მარნეული, ქუჩა 26 მაისი, 83.02.12.049,  
აევრძალოს უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377100 07/10/2020 17:05:30

შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213

საგანი: უძრავი ნივთი: მცხეთა, სოფელი წეროვანი, 72.08.22.233, აევრძალოს  
გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377101 07/10/2020 17:07:42

შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213

საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი რუსთავი , ქუჩა მშვიდობა , N 16, 02.07.01.014,  
აევრძალოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით  
დატვირთვა.

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377104 07/10/2020 17:10:04

შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213

საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, დასახლება ფონიჭალა, (ნაკვ.19/01),  
01.18.12.019.001, აევრძალოს აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ნივთის  
გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 საქმე 330210120003946935, 21.09.2020,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377113 07/10/2020 17:12:07



**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**

საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი ხაშური, ქუჩა გორგასალი 30, 69.08.26.001, აეკრძალოს უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377122 07/10/2020 17:14:12

**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**

საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 121, 01.13.01.001.080, აეკრძალოს აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 საქმე 330210120003946935, 21.09.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377125 07/10/2020 17:17:33

**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**

საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ქუჩა უნივერსიტეტის 6, (ნაკვეთი N8/19), 01.14.06.008.127, აეკრძალოს უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377129 07/10/2020 17:20:07

**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**

საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი გორი, სტალინის გამზირის დასაწყისი, 66.45.30.071, აეკრძალოს გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: 102020377131 07/10/2020 17:22:23

**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**

საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი ქუთაისი, ქუჩა გუგუნავა, N 1, (ნაკვ. N1-1-1), 03.05.24.560, აეკრძალოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საფუძველი: განჩინება, N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

- აკრძალვა: **102020377138 07/10/2020 17:24:31**  
**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**  
საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ქუჩა გულუა 22; ქალაქი თბილისი, ქუჩა გულუა 22 მიმდებარედ, **01.18.05.001.074**, აკრძალოს უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა  
საფუძველი: განჩინება, **N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020**, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
- აკრძალვა: **102020377139 07/10/2020 17:26:05**  
**შპს ნეოგაზი ს/ნ 405037213**  
საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, III მიკრო/რაიონი, V კვარტალი, კორპუსი 25, **01.12.05.001.069**, აკრძალოს გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.  
საფუძველი: განჩინება, **N2/19328-20 (330210120003946935), 21.09.2020**, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R14014893 04/06/2014 17:56:51**  
კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) **204854595**  
მესაკუთრე : შპს სი-ენ-ჯი (საქართველო) **405037213**  
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხ. სარეგისტრაციო დოკუმენტი)  
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, **123123111679-1**, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, **140562514, 03.06.2014**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R14045925 08/12/2014 16:12:59**  
კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) **204854595**  
მესაკუთრე : შპს სი-ენ-ჯი (საქართველო) **405037213**  
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი)  
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, **123123111669-3**, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, **141330401, 05.12.2014**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R21090472 10/02/2021 18:38:29**

**კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**

**მესაკუთრე : შპს ნეოგაზი (საქართველო) 405037213**

საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების

**2.1 პუნქტში მითითებული საკუთრებაში არსებული დანართ №1-ით**

**განსაზღვრული მოძრავი ქონება და 1.3 პუნქტით გათვალისწინებული სამომავლო მოძრავი ქონება**

საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, **750971-105**, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, **181344083, 31.10.2018**

**ნერილი, სს თიბისი ბანკი, 16/124-02, 05.02.2021**

### **მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეაგესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
  - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)